საქართველოს მთავრობის

დადგენილება №114

2023 წლის 20 მარტი

ქ. თბილისი

„საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 22/02/2013, 470230000.10.003.017200) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართის („საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა“) №1.10 დანართის („შესაბამისი საჭიროების მქონე ბენეფიციართა კოხლეარული იმპლანტით უზრუნველყოფა“):

1. პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მომსახურების მოცულობა:

ამ დადგენილების №1 დანართის მე-2 მუხლის 3^7 პუნქტით განსაზღვრული მოსარგებლეებისთვის ამ დანართით განსაზღვრული მომსახურება ითვალისწინებს კოხლეარული იმპლანტების/პროცესორების შესყიდვას.“.

2. მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლისა და მომსახურების (მათ შორის, ლოგისტიკის) 2023 წლის ბიუჯეტი შეადგენს 3,000.0 ათას ლარს.“.

3. მე-3 პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ამ დანართის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად შესყიდული საქონლის სამედიცინო დაწესებულებებისთვის გადაცემის, განაწილების, ასევე გამოცვლილი პროცესორის ადმინისტრირების წესი მტკიცდება სააგენტოს მიერ შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით, სამინისტროსთან შეთანხმებით;“;

ბ) „ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ) მკურნალი ექიმის მიერ დასაბუთებული საჭიროების შემთხვევაში, იმპლანტაციიდან/პროცესორის დამაგრებიდან ხუთი წლის შემდეგ ბენეფიციარს ერთჯერადად გადაეცემა კოხლეარული იმპლანტის ახალი პროცესორი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**